



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება



გაფართოებული ძიება

- მთავარი
- სიახლეები
- გამოცემები
- კანონმდებლობა
- ანგარიშები
- HRIDC-ს შესახებ
- ბმულები
- კონტაქტი

[Text Version](#)

კიდევ ერთი ტყე გასხვისდა

23.10.2008



გულო კობოძე, ახალციხე

სამცხე-ჯავახეთის წინუბნის სატყეოზე ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზია გაიცა. მოსახლეობა აღშფოთებულია. გარემოს დაცვის ორგანიზაციები და საპარლამენტო უმცირესობა გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემისას კანონმდებლობის სრულ დაცვას მოითხოვენ.

შვიდ ოქტომბერს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი

ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის აუქციონი გაიმართა: სამცხე –ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის, წინუბნის სატყეოში, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოპოვების მიზნით. საწყისი ფასი - 60 000 ლარი იყო.

აღნიშნულ ლოტზე აუქციონში მონაწილეობდა შპს „ტაო“, შპს „ფათათი“, ფ/პ ტარიელ ფერაძე, ი/მ მარინე ზაზაშვილი, შპს „ახალციხის განძელის გამჟღენთი საწარმო“, ი/მ ვეფხვია შუბითიძე, ფ/პ ზვიად ძაბირაძე და შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“.

აუქციონზე საბოლოო თანხა – 126 000 ლარი დაფიქსირდა და გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ ვეფხვია შუბითიძე.

საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების თანახმად, გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ლიცენზიის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობა, მათთან

სხვა სიახლეები

აშშ გმობს 17 მაისის ჰომოფობიურ ძალადობას თბილისში

17 მაისის ძალადობასთან დაკავშირებით ოთხი პირია დაკავებული

„არა ძალადობას“ - აქცია ბათუმში

საქართველო "საუკეთესო ქვეყნები დედობისთვის" რეიტინგში 94-ე ადგილზეა

რუსთაველი დანაშაულის აღკვეთისას მოქალაქე დაიჭრა

არქივი



www.apsni.org

ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული ექსკურსი

წინადადების მიღება და განხილვა. ამ უფლებას ასევე უზრუნველყოფს გაეროს ორხუისის კონვენცია.

წინუბნისა და მისი მიმდებარე სოფლების: აგარის, საყუნეთის, ზიკილიას, ფერსას, მუგარეთის, გურგელის, გიორგიწმინდას მოსახლეობამ გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე არაფერი იცის.

„რა ლიცენზია, ვის მისცეს?, ხალხს ვინ რა გვკითხა!“ - ამბობს ხალხი.
„ტყეს სოფელი უფლის. როცა ხანძარი იყო, სოფლიდან ქუდზე კაცი გამოვიდა. ყველა ფეხზე იდგა. კვირობით და თვეობით ტყეში იყვნენ გადახვეწილები. მგონია, სოფლისთვისაც რაღაც უნდა ეკითხათ“, - მიაჩნია სოფელ წინუბნის მკვიდრ ნაირა გოგოლაძეს.

„მწვანე ალტერნატივას“ პროგრამა „ბიომრავალფეროვნების“ კოორდინატორის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, „თუ ჟენევის კონვენციის თანახმად რუს ოკუპანტებს ვედავებით რატომ გადაწვეს ჩვენი ტყეები, ჩვენივე ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ასეთივე მნიშვნელობის გაეროს კონვენციები, მათ შორის ბიომრავალფეროვნებისა და ორხუისის კონვენცია“.

შვიდ ოქტომბერს ეკონომიკის სამინისტროში გამართულ აუქციონს უკმაყოფილება მართო მოსახლეობის მხრიდან არ მოჰყოლია.

ამავე დღეს საქართველოს პარლამენტის პლენალურ სხდომაზე უმცირესობის წარმომადგენელმა, ფრაქცია „ძლიერი საქართველო-ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ, გაია თორთლაძემ პარლამენტში ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ეკატერინე შარაშიძის მოწვევა ითხოვა და მიზეზად ეკონომიკის სამინისტროში ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონი დაასახელა. მისი თქმით, დაუშვებელია ტყეების ინვენტარიზაციის ჩატარებამდე აუქციონის გამართვა.

„მოვითხოვ, შეჩერდეს აუქციონი სანამ არ მოვა ეკონომიკის მინისტრი და ახსნა-განმარტებებს არ მოგვეცემს,“ - განაცხადა გაია თორთლაძემ.

მოთხოვნა პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ბობოხიძემაც გაიზიარა და აღნიშნა, რომ გაია თორთლაძის შენიშვნა სრულიად სამართლიანია და ოპოზიციის წარმომადგენლებს გარემოს დაცვის კომიტეტთან აქტიურად თანამშრომლობა ურჩია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის აუქციონი მაინც ჩატარდა. თუმცა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სატყეო სამმართველოს ტყის მართვის განყოფილების უფროსი სიმონ პარუნაშვილი ადასტურებს. რომ "წინუბნის სატყეოში ტყის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა“.

ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია ტყითსარგებლობის ლიცენზია, ტყეში ხეების ჭრის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს და



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორკვირიანი), ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[ვრცლად...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და მიზანი

არქივი

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს დააკვირდება



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[ვრცლად...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო აუდიტმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ რეპრესიები შეაჩერეს

ავგისტოს ომი - ვინ არის დამნაშავე?

არქივი

გამოკითხვა

ადგილობრივ სატყეო სამსახურთან შეთანხმოს ტყის ათვისების ტექნოლოგიური რუკა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფართობის, რელიეფის, ნიადაგის, ჭრის ფორმის, მორის თრევის სახეების, ხე-ტყის ზედა საწყობის ადგილის, დასატვირთი მოედნის, ხე-ტყის საზიდი გზების განლაგების შესახებ.

„ჯერჯერობით არავინ შეგვხმობია“, - გვითხრა სიმონ პარუნაშვილმა. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს რომ ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა კონკრეტულ პიროვნებაზე, მათ ყოფას კიდევ უფრო გააუარესებს. „ნახევარ სოფელს მესერი არ გააჩნია. მიცვალებულისთვის კიდე ოთხი ფიცარი ვერ გვინახია. აქამდე ვერ შევდიოდით ტყეში და აწია რა უფლება გვექნება. ჩვენც ცოდოები ვართ, გლეხებსაც ხომ გვაქვს ჩვენი უფლება?“, - კითხულობს სოფელ საყუნეთის მკვიდრი მამაკაცი, რომელიც ვინაობის დასახელებისაგან თავი იკავებს.

„მოითხოვენ თვითონ ხელს და ხალხი აღარც მოვაგონდებით“, - მიაჩნიათ ადგილობრივებს.

[<< უკან დაბრუნება](#)



დატოვეთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი: 43b0db

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტიკატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

[შედეგები](#)

[არქივი](#)



www.apsni.org

თემები

- | | |
|------------------------|-----------|
| ბავშვები | ჯანდაცვა |
| ქალები | კორუფცია |
| მართლმსაჯულება | არჩევნები |
| ლტოლვილები / დევნილები | განათლება |
| უმცირესობები | პატიმრები |
| მედია | რელიგია |
| ჯარი | სხვა |